პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 154 (3638)

7 აგვისტო, 1968 წ. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყველაზე ძნელი ვარიანტი

ფრუნზე, 6 აგვისტო. (საკდესი). „ტრუდის" მთამსვლელებმა ახალი სასიმაღლო ასვლა განახორციელეს: ექვსმა სპორტსმენმა დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ პამირის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი — ენგელსის პიკი (6500 მ).

ექსპედიციის უფროსმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. რომანოვმა საბაზო ბანაკიდან გადმოსცა:

— ასვლის ყველა მონაწილე მშვიდობიანად დაეშვა. იერიში ენგელსის პიკზე 9 დღეს გრძელდებოდა. არჩეული იყო ასვლის ყველაზე ძნელი ვარიანტი — სამხრეთის კედლით. მით უფრო სასიხარულოა, რომ ჩვენ წარმატებით დავძლიეთ აქამდე გადაულახავად ცნობილი მარშრუტი. კლდეზე მცოცავებმა ეს ასვლა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს უძღვნეს.

## IX საოლქო...

აფხაზეთის დედაქალაქში დამთავრდა „სპარტაკის" საოლქო საბჭოს IX სპარტაკიადა, მიძღვნილი კომკავშირის 50 წლისთავისადმი. ავტოსატრანსპორტო კონტორის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის, სახელმწიფო დაწესებულებების, კულტურის, ადგილობრივი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო კომუნალური მეურნეობის, განათლების, მედიცინისა და კვების მრეწველობის პროფკავშირთა საქალაქო და საოლქო კომიტეტების ნაკრები გუნდები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ცურვასა და ჭადრაკში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა განათლების მუშაკთა გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ მედიცინის, III — კვების მრეწველობის პროფკავშირთა სპორტსმენები.

სპარტაკიადას თავი აარიდეს აეროპორტის (მეთოდისტი ა. ქვანია) და კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს (ტ. ბერაია) გუნდებმა.

გ. ჟორდანია.

სოხუმი.

## ხოშიბაევის „ნათლობა"

### მდინარე ველიკაიაზე მღელვარებაა

ფსკოვი, 5 აგვისტო. აქ გრძელდება ქვეყნის ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში. დღეს საღამოს გაირკვა პირველ ლაურეატთა ვინაობა. დავასახელებთ ახალ ჩემპიონებს: 10.000 მ. ერთადგილიანი ბაიდარა — იაროსლაველი ვ. ცარიოვი, ორადგილიანი ბაიდარა — ნოვგოროდელი ვ. ანისიმოვი და პეტროზავოდსკელი ქ. ნაზაროვი, ერთადგილიანი კანოე — თბილისელი ჯ. ხოშიბაევი, ორადგილიანი კანოე — ნიკოლაეველი ვ. ივანიუკი და ჩერკასელი პ. ბურკაცკი; 500 მ. ერთადგილიანი ბაიდარა — ლენინგრადელი ლ. პინაევა, კიეველი ვ. მოროზოვი, ორადგილიანი ბაიდარა — ლენინგრადელი ა. სედაშოვი და გორკელი ბ. ბარმინი; 1000 მ. ოთხადგილიანი ბაიდარა — ქვეყნის ნაკრები, მომსმელი ა. შაპორენკო.

ჩემპიონატის მეორე დღეს სარბიელზე გამოვიდნენ მხოლოდ ნიჩბის ყველაზე გამოცდილი ოსტატები. 500 და 1000-მეტრიან დისტანციებზე გადამწყვეტ ბრძოლაში 9-9 ნავი გამოვიდა სტარტზე, 10-კილომეტრიანი დისტანციის ფინალში კი 35-36 ნავი ჩაება. მთავარი ბრძოლა გაჩაღდა ვეტერანებსა და ახალგაზრდა სპორტსმენებს შორის. ახალგაზრდებიდან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს პრიზიორი ბაიდარით ნიჩბოსნობაში ნ. ბერსენიევი (უსტ-კამენოგორსკი), ხარკოვისა და გომელის სტუდენტები ვ. სივერინი და ა. სავჩენკო, რომლებმაც ვერცხლის ჯილდოები მოიპოვეს ორადგილიანი ბაიდარით შეჯიბრებაში. კანოეთი III საპრიზო ადგილზე გავიდა დუბოსარელი ვ. სუსლოვი.

ამინდი დღესაც მზიანი იყო, მაგრამ ქარი უფრო გაძლიერდა. მსაჯთა კოლეგიას იმედი ჰქონდა, რომ ქარი საღამოსთვის ჩადგებოდა და ამიტომ ბაიდარებითა და კანოეთი ოლიმპიურ დისტანციებზე რბოლა გადადო: მეხიკოსთვის გუნდის შერჩევა მეტოქეებისთვის თანაბარ პირობებში უნდოდათ დაემთავრებინათ. ასე კი მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბილიკების წილისყრას. კანოისტებს ძალიან გაუჭირდათ. ტალღა პირდაპირ სცემდა მათ ღია ნავებს. ბევრმა რბოლის დროს ტივი მოიშველა, რომ წყლისგან გათავისუფლებულიყო. გასაგებია თბილისელი ხოშიბაევის აღტაცება, რომელმაც მძიმე პირობებში მოიგო მარათონი ერთადგილიანი კანოეთი და ფინიშის მაუწყებელი ზარის ხმაზე სიხარულისაგან მდინარეში გადაეშვა. ასე „მოინათლა" ახალი ჩემპიონი.

საღამოს ქარი მართლაც ჩადგა, ტალღებიც დაწყნარდა, მაგრამ სამაგიეროდ მაყურებლები აღელდნენ. ოლიმპიური დისტანციების სტარტები სწრაფი და მიმზიდველი იყო. ბაიდარებით 500 მეტრზე შეჯიბრებაში თავიდანვე წინ გაიჭრა 22 წლის მინსკელი ა. კაპტური, მაგრამ ფინიშზე მას ძალამ უღალატა. ლიდერმა წინ გაუშვა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. მოროზოვი და ა. ტიშჩენკო.

სტარტის აღებისას „წაუძინა" ოლიმპიურმა ჩემპიონმა პინაევამ, მაგრამ შუა დისტანციაზე მან კვლავ დაიკავა ლიდერის ჩვეული ადგილი. ბოლო 50 მეტრზე პინაევას კინაღამ გაუსწრო 22 წლის გ. კირიანოვამ (პეტროზავოდსკი). ვერცხლი მისთვის მაინც დიდი მიღწევაა. მეორე საბჭოთა გამოჩენილი სპორტსმენი ა. სერედინა III ადგილს დასჯერდა.

ორი ნაკრების მწვავე დუელი ოთხადგილიანი „ლინკორებით" მოიგო ქვეყნის ნაკრებმა (მომსმელი შაპორენკო). ოლიმპიური ჩემპიონი ნ. ჩუჟიკოვი თავისი ოთხადგილიანით II ადგილზეა.

(საკდესი).

ტალინში დამთავრდა სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობა ჩოგბურთში.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: სსრ კავშირის ჩემპიონები — ჭაბუკთა შორის ე. ლანგე (ტალინი) და გოგონებში ზ. იანსონე (რიგა).

ფოტო ბ. კუზნეცოვისა (საკდესი).








## ასპარეზობენ განთიადელები

ჭიათურის სპორტულ ბაზებზე ორ თვეს გაგრძელდა „განთიადის" საქალაქო სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

კალათბურთში გამარჯვებისთვის 12 გუნდი იბრძოდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოსა და ჭიათურმანგანუმშენის გუნდები. გაიმარჯვეს კალინინელებმა. III ადგილზე გავიდნენ ახალი ითხვისელი მაღაროელები.

ფრენბურთში ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გუნდმა გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივს — 2:0.

მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობა ჭიათურმანგანუმშენის გუნდმა. ახალი ითხვისის ხელბურთელებმა ფინალში სძლიეს ჭიათურმანგანუმშენის გუნდს — 24:22.

საინტერესოდ ჩატარდა მოცურავეთა ასპარეზობა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს სპორტსმენებმა მოიგეს.

მძლეოსნობის პროგრამაში ხუთი სახეობა შედიოდა. 100 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მივიდა ი. ფალავანდიშვილი (დიმიტროვის სახელობის მაღარო) — 12,4, 200 მეტრზე — ჯ. გაბარაშვილი (ახალი ითხვისი) — 26,5. სიგრძეზე ხტომა მოიგო დ. ჭილაიამ (დიმიტროვის სახელობის მაღარო) — 585 სმ. მანვე იმარჯვა სიმაღლეზე ხტომასა (155 სმ) და ბირთვის კვრაში — 11,14 მ. გუნდურ ჩათვლაში პირველობა დიმიტროველებს დარჩათ.

ძალოსნობაში ხუთმა სპორტსმენმა აჩვენა I თანრიგის ნორმატივი, ზ. მგალობლიშვილმა კი პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ბ. საყვარელიძე (ახალი ითხვისი), ა. ხვედელიძე (სამრეწველო-საწარმოო კომბინატი), ს. ჭოველიძე (ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნო), ზ. მგალობლიშვილი (კალინინის სახელობის მაღარო), ჰ. ლომიძე და ვ. კაპანაძე (ორივე — დიმიტროვის სახელობის მაღარო), ი. ჯაფარიძე და გ. გურული (ორივე — ახალი ითხვისი). გუნდური პირველობა ითხვისელებმა დაისაკუთრეს.

სპარტაკიადის ბოლო სახეობა ფეხბურთი იყო. ჩემპიონობა მოიპოვა კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ახალი ითხვისის მაღაროს (მეთოდისტი ი. ჯაფარიძე) ნაკრებმა, რომელსაც გადაეცა „განთიადის" და კომკავშირის საქალაქო კომიტეტების თასები. II ადგილზე გავიდა ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს გუნდი (მეთოდისტი ს. მუმლაძე), III — ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (მეთოდისტი — სპორტის ოსტატი ს. ბუხნიკაშვილი).

თ. შეყილაძე.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.




## ჩიბურდანიძის ვერცხლი

სოფია, 5 აგვისტო. ბულგარეთის ქალაქებში ფინიშს უახლოვდება საფესტივალო ოლიმპიადა. კოკისპირულმა წვიმამ, რომელიც გუშინ დაატყდა სოფიას, ვერ გაანელა ბრძოლის სიმხურვალე ჩოგბურთის კორტებზე. მოსკოველი ვ. ეგოროვისა და უნგრელი პ. სიოკეს შეხვედრამ ჭეშმარიტი ტკბობა მოჰგვარა მაყურებელს. ჩვენი სპორტსმენის ზუსტმა და სწრაფმა თამაშმა მას დამსახურებული გამარჯვება მოუტანა — 8:6. ამან ეგოროვს ფინალის გზა გაუხსნა, სადაც იგი შეხვდება პოლონელ გონშორეკს.

მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდს ოქროს მედალი მოუტანა ზ. რუდნოვამ, რომელმაც ფინალში იოლად დაამარცხა რუმინელი სპორტსმენი.

მხატვრულ ტანვარჯიშში დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს ფესტივალის მასპინძლებმა და საბჭოთა ქალებმა. ნ. ოვჩინიკოვამ (გროზნო) უსაგნოდ ვარჯიშში ოქროს მედალი მოიპოვა. საბჭოთა გუნდს მრავალჭიდის საერთო ჯამში ბრინჯაოს მედალი მოუტანა მ. კუჩინსკაიამ.

გრძელდება ასპარეზობა ქალაქ ხასკოვის საჭიდაო ხალიჩაზე. საბჭოთა გუნდის წარმომადგენლებმა კლასიკურ ჭიდაობაში შეჯიბრება ასე დაამთავრეს: სვერდლოვსკელმა ნ. ტარასოვმა ოქროს მედალი დაისაკუთრა, მ. ჩიბურდანიძეს (თბილისი) და ი. ზაიცევს (მოსკოვი) ვერცხლი ხვდათ, მოსკოველ ვ. ნიკულიჩევს — ბრინჯაო.

სოფიის მეგობრობის სტადიონის მოედნებზე გრძელდება ფრენბურთელთა ტურნირი. ჩვენმა ვაჟებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდს — 3:1. ამ მატჩის დაძაბულობას აშკარად მოწმობენ ეს ციფრები: 15:13, 15:6, 8:15, 15:10.

საბჭოთა კალათბურთელ ვაჟებს კი ბედი არ სწყალობდათ: გუშინ მათ წააგეს იუგოსლავიის გუნდთან — 49:53.

დ. გოჩაროვი,
ვ. ჩუკსეევი.
(საკდესის სპეც. კორ.).









## მისაღებ გამოცდებზე

კარგი ტრადიციების მქონე უმაღლეს სასწავლებელში — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ყოველწლიურად ასობით ფიზკულტურელი და სპორტსმენი აბარებს მისაღებ გამოცდებს. ბევრმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა გადაწყვიტა სწორედ აქ განაგრძოს სწავლა. სურათები, რომლებიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო, ამ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების მომენტებს ასახავენ (ზევიდან ქვევით): გამოცდა ტანვარჯიშში. ორძელზეა აბიტურიენტი ნ. ლეშკაშელი. გამოცდას იბარებენ პედაგოგები ს. კორძაია, თ. სანებლიძე და ო. კაკიაშვილი; ახალგაზრდა ფეხბურთელებთან თ. ლობჟანიძესა და დ. შეყრილაძესთან გასაუბრებას ატარებენ საგამოცდო კომისიის წევრები კ. მესხი, დ. ცომაია და გ. ბაქანიძე; მძლეოსნობის საგამოცდო კომისიის წევრები დ. იოსელიანი, ნ. ლობჟანიძე და ვ. ვაშაკიძე გულდაგულ აკვირდებიან აბიტურიენტთა რბენას.

# იშრომეს, დაუფასდათ

ამიერკავკასიის „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს მორიგმა პლენუმმა, რომელიც ამას წინათ თბილისში გაიმართა, მოისმინა საგზაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. გიორგობიანის მოხსენება საიუბილეო წლის შედეგებსა და მომავლის ამოცანებზე.

მომხსენებელმა თქვა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის დღესასწაულისთვის ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის ფიზკულტურელებმა გაზრდილი ვალდებულებები აიღეს, ენერგიულად იმუშავეს, პირობა ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდეს და „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს სოცშეჯიბრებაში გამარჯვება დაისაკუთრეს.

საიუბილეო წლის ბოლოსთვის ფიზკულტურასა და სპორტში უამრავი რკინიგზელი იყო ჩაბმული, რაც მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 51,9 პროცენტს შეადგენს. საწარმოო ტანვარჯიშში 163 ორგანიზაციის 30 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე მეცადინეობს.

წინა პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებში მომზადდა 16 სპორტის ოსტატი, 7166 ოსტატობის კანდიდატი, I და სხვა თანრიგების სპორტსმენი, 3000-ზე მეტი საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრი.

— მაღალი მაჩვენებლების მოპოვებაში, — განაგრძობს მომხსენებელი, — სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისმა და ადგილობრივი ღონისძიებების ორგანიზებულად გამართვამაც შეგვიწყო ხელი, კვანძების, რაისაბჭოების, საგზაო საბჭოს, საქართველოსა და სომხეთის, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში ჩვენი საზოგადოების 41 ათასი ფიზკულტურელი მონაწილეობდა. თავიანთი სპარტაკიადები ყველაზე უკეთ ჩაატარეს სამტრედიისა და თბილისის რაისაბჭოებმა. ტურნირებში ამ განყოფილებების მუშა-მოსამსახურეთა 34-37 პროცენტი ცდიდა ძალას. უნდა აღინიშნოს, რომ მეტად არაორგანიზებული იყო „ლოკომოტივის" ერევნის განყოფილების რაისაბჭოს (თავმჯდომარე გ. დავითიანი) სპარტაკიადა.

შემდეგ მომხსენებელმა დაასახელა ის რკინიგზელი სპორტსმენები, რომლებიც საქართველოს გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ და თავი ისახელეს ხალხთა სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაში. მაგალითად, მესტენდურე ალავერდოვმა ოქროს მედალი მოიპოვა, მძლეოსნებმა ბახტაძემ და ანდრეევმა— ვერცხლის მედლები, ქუთათელაძე IV ადგილზე გავიდა. IV ადგილი დაიკავეს ნიჩბოსნებმაც ხუბერაშვილმა, მარეხაშვილმა, ცოცკოლაურმა, იუდანოვამ და გირდამ. საქართველოს გუნდში სულ 32 რკინიგზელი სპორტსმენი გამოდიოდა.

შემდეგ კ. გიორგობიანმა ილაპარაკა „ლოკომოტივის" ორგანიზაციებში დანერგილი სახეობების განვითარებაზე. მან აღნიშნა, რომ დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მძლეოსნები, ტანმოვარჯიშენი, ნიჩბოსნები, მოჭიდავენი, ველოსიპედისტები, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მოცურავეთა და ძალოსანთა შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა ისიც, რომ რკინიგზის ბავშვთა სპორტსკოლაში 600-ზე მეტი ბავშვი მეცადინეობს 9 სახეობაში. აქ შარშან 1 ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი, 13 პირველი და 200-მდე სხვა თანრიგების სპორტსმენი მომზადდა. გიორგობიანმა ილაპარაკა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მუშაობაზე, მწვრთნელების, ცალკეული სახეობების საზოგადოებრივი სექციების საქმიანობაზე. მან დაასახელა მოწინავე აქტივისტები: ბათუმის სალოკომოტივო დეპოს ოსტატი ბუდანოვი, ქუთაისის ელექტროდეპოს პარტორგი რუხაძე, სამტრედიის სავაგონო დეპოს ხარატი ადეიშვილი, ამავე დეპოს უფროსი ცხომარია, თბილისის სალოკომოტივო დეპოს ხარატები ჯანიაშვილი და სვიატენკო, ამ ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ლეკიშვილი, სადგურ ნავთლუღის უფროსი მწონავი მრევლიშვილი, ლენინაკანის კვანძის კომკავშირის კომიტეტის მდივანი კარაპეტიანი, მემანქანე ბაბაიანი, ერევნელი ხარატი მინასიანი და სხვები, რომლებიც მუყაითად მუშაობენ.

— სპორტული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენების მთავარი პირობა სპორტული ბაზებია, — თქვა მომხსენებელმა. — ამ მხრივ კი რკინიგზელი ფიზკულტურელები მაინცდამაინც განებივრებული როდი არიან. მართალია, თბილისში გვაქვს სტადიონი და სპორტდარბაზი, სამტრედიაში სტადიონი, აუზი და სპორტდარბაზი, ქუთაისში მცირე ზომის საჭიდაო დარბაზი, სოხუმში სპორტთამაშების დარბაზი და სხვ. მაგრამ ამ ბაზების უმეტესობა მოუწყობელია. გაჭიანურდა მძლეოსნური მანეჟის მოწყობა ქუთაისში, შესაკეთებელია და კეთილმოწყობას მოითხოვს თბილისის, სოხუმისა და ბათუმის დარბაზები. გვაფერხებს ისიც, რომ თბილისში არა გვაქვს აუზი, რის გამო წყალბურთელები და მოცურავენი სხვების ბაზებზე ვარჯიშობენ.

როცა სასწავლო-სპორტული მუშაობის მდგომარეობას შეეხო, გიორგობიანმა აღნიშნა, რომ ეს საქმე კვლავინდებურად დაბალ დონეზეა ლენინაკანისა და თბილისის რკინიგზის ტექნიკუმებში, სპორტკლუბებში „იმერეთსა" და „თბომავალში", ერევნის რაისაბჭოში, თქვა, რომ ერევნის რაისაბჭოს სპორტსმენები რეგულარულად არ მონაწილეობენ გზის ჩემპიონატებში, ნაკრებს შევსებას ვერ აძლევენ, ბოლო 5 წლის მანძილზე კი ერთი ოსტატიც არ მოუმზადებიათ.

კამათში გამოვიდნენ სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარე ა. აბაშიძე, თბილისის რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. ბაღდასაროვი, მწვრთნელი ველოსპორტში ა. დოლიძე, ქუთაისის კვანძის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ზივზივაძე, ამიერკავკასიის ტრანსმშენის რაისაბჭოს თავმჯდომარე ვ. ონუფრიკოვი, მწვრთნელი მძლეოსნობაში ვ. სუხოტინი, მწვრთნელი კალათბურთში რ. მესხიშვილი. მათ ილაპარაკეს თავიანთი კოლექტივების ავ-კარგზე და საგზაო საბჭოს მიმართაც გამოთქვეს საყვედური. ონუფრიკოვმა, მაგალითად, თქვა, რომ სპორტული ბაზები არა აქვთ, საგზაო საბჭო კი ამ საქმეში ნაკლებად ეხმარება. მესხიშვილმა აღნიშნა, რომ კალათბურთელთა ნაკრები მთლიანად თბილისელებითაა დაკომპლექტებული, ვინაიდან სამტრედიაში, ქუთაისში, სოხუმში, ერევანში, ლენინაკანში მაღალი კლასის სპორტსმენებს ვერ ზრდიან.

სუხოტინმა პლენუმს მოაგონა, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით „ლოკომოტივის" სტადიონის სარბენ ბილიკებზე სპიდვეის სარბიელის მოწყობამდე დოსააფს სამაგიერო მძლეოსნური ბილიკები და სექტორები უნდა მოეწყო, მაგრამ რკინიგზელი მძლეოსნები უბაზოდ დავრჩით, „დინამოს" სტადიონის საქირავებლად კი სახსრები არ გვაქვს.

სიტყვით გამოვიდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სეროვი. მან „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარეს თ. კაჭახიძეს გადასცა ჟეტონი „დიდი მედალი" და ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშა, რომელიც ამიერკავკასიის საგზაო საბჭომ მეხუთედ მოიპოვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისა და სპორტში მაღალი მაჩვენებლებისთვის. სეროვმა თბილისის რაისაბჭოს გადასცა ცენტრალური საბჭოს ვიმპელი და „დიდი მედალი", მის თავმჯდომარეს მ. ბაღდასაროვს კი სიგელი.

ცენტრალური საბჭოს სიგელებით, „დიდი მედლებითა" და სამახსოვრო ვიმპელებით დაჯილდოვდნენ სპორტკლუბი „ელმავალი", თბილისის სალოკომოტივო დეპოს, თბილგვირაბმშენის გვირაბების რაზმის კოლექტივები, სიგელებითა და „დიდი მედლებით" — თბილისის სავაგონო დეპოს და თბილტრანსმშენის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივები.

სეროვმა ცენტრალური საბჭოს სიგელები, ფასიანი საჩუქრები და „ფიზკულტურის აქტივისტის" ნიშნები გადასცა თ. კაჭახიძეს, ა. გიორგობიანსა და საგზაო საბჭოს საორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგეს თ. ქობულაძეს, „ფიზკულტურის აქტივისტის" ნიშანი — სპორტკლუბ „ელმავლის" თავმჯდომარე მ. მჟავიას, სიგელი და „მცირე მედლები" — თბილისის სალოკომოტივო დეპოსა და თბილგვირაბმშენის ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეებს ქ. გვენცაძესა და ა. პირველს.

პლენუმმა დასახა ღონისძიება.

## არ შეშვენით

ხუჯუნა ერთ-ერთი დიდი სოფელია აბაშის რაიონში, მაგრამ ფიზკულტურასა და სპორტს აქ ნაკლებად სცემენ პატივს. არა აქვთ სპორტული მოედნები, სექციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ. აქ საქმეს არც ხუჯუნის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია აქცევს ყურადღებას.

სოფელი კეთილარი რიონს გაღმაა გაშლილი. ამ სოფელში ერთ დროს სპორტული მუშაობა კარგად იყო დაყენებული, მაგრამ დღეს სხვაგვარი სურათია: ფეხბურთის მინდორი შემოუღობავია, არ მუშაობენ სექციები, არა აქვთ ფორმა და ინვენტარი.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ეწერში, სადაც ფეხბურთის მინდორზე პირუტყვი დათარეშობს.

რ. ჭანტურია.
(ჩვენი კორ.).

აბაშა.

## მწვრთნელის ტრიბუნა

# სიახლე ფრენბურთში

ამ რამდენიმე ხნის წინ გაზეთ „ლელოს" და ჟურნალ „სპორტივნიე იგრის" ფურცლებზე საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ე. ამირანაშვილის წერილები დაიბეჭდა. მწვრთნელის აზრით, თანამედროვე ფრენბურთში მიზანშეწონილია თავდასხმა არა მარტო წინა ხაზის სამი მოთამაშით (№№ 2, 3, 4), არამედ დაცვის უკანა ზონების მოთამაშეთა (1, 5, 6) ჩაბმითაც. ამგვარად შეიქმნება თამაშის ახალი ტაქტიკური პრინციპი— იერიში ხუთი მოთამაშით.

ახლა ყველა გუნდი ასე დაკანონებული პრინციპით თამაშობს: იერიშზე გადადის მხოლოდ წინა ხაზის სამი მოთამაშე. მაგრამ ხანდახან ესეც არ ხერხდება, რადგან ერთ-ერთი ფრენბურთელი შეიძლება გამთამაშებელი აღმოჩნდეს, მეორე კი იერიშისთვის მზად არ იყოს. ეფექტური თავდასხმა ორი ან ერთი მოთამაშით ორმაგი ან სამმაგი ბლოკირების წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. ეს ძნელია მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ წესს, რომლის ძალითაც ბლოკის მოთამაშეებს ბადეზე ხელების გადატანის უფლება აქვთ.

და აი, ივნისის მიწურულს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრამ ყველა თბილისელი მწვრთნელი მიიწვია ძალიან საინტერესო ექსპერიმენტზე. საგანგებოდ მომზადებული, სპორტის ოსტატობის კანდიდატებითა და პირველთანრიგოსნებით დაკომპლექტებული ვაჟთა გუნდი (ვუწოდოთ მას „ა" გუნდი), ასევე მომზადებულ „ბ" გუნდთან გვიჩვენებდა თავდასხმას 5 მოთამაშით.

საჩვენებელი თამაში სამ პარტიად ჩატარდა. „ა" გუნდმა 107 დარტყმა შეასრულა, აქედან 24 შესრულდა უკანა დაცვის ზონებიდან. დარტყმების 42 პროცენტი დადებითი აღმოჩნდა (ან ქულა მოიგეს, ან მიწოდების უფლება). ამ იერიშში 5 თავდამსხმელი მონაწილეობდა.

იმავე გუნდის იერიშები წინა ზონებიდან მხოლოდ 3 თავდამსხმელის მონაწილეობით ნაკლებ შედეგიანი გამოდგა — ეფექტურობის 34 პროცენტი. „ბ" გუნდის ეფექტურობა უფრო ნაკლები იყო — 32 პროცენტი (იხ. თავდასხმითი დარტყმების ჩანაწერების ცხრილი).

| გუნდები | წინა ზონებიდან მხოლოდ წინა ხაზის 3 მოთამაშით იერიშის შედეგები | | | უკანა ზონების დაცვის ხაზის 5 მოთამაშით იერიშის შედეგი | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დარტყმების რიცხვი | დადებითი | უარყოფითი | დარტყმების რიცხვი | დადებითი | უარყოფითი | |
| „ა" | 83 | 28-34% | 55-66% | 24 | 10-42% | 14-58% | „ა" გუნდმა მოიგო შეხვედრა 2:1 |
| „ბ" | 88 | 28-32% | 60-68% | — | — | — | |

ამგვარად, „ა" გუნდმა მოუგო „ბ" გუნდს და თავდასხმითი დარტყმების 30-40 პროცენტი საერთოდ უბლოკოდ შეასრულა. ამით თვალნათლივ დადასტურდა 5 მოთამაშით შეტევის უპირატესობა.

ამგვარმა შეტევამ თამაშში ბევრი მოულოდნელობა შეიტანა. თავდასხმა სწრაფი გახდა, თამაში საინტერესო იყო.

აი, აზრი რამდენიმე სპეციალისტისა, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ:

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე მ. სხირტლაძე: „თავდაპირველად ვერ წარმოვიდგინე, რა უნდა ყოფილიყო იერიში ხუთი მოთამაშით. ახლა გაკვირვებული ვარ. ეს მართლაც ახალი მძლავრი იარაღია თავდასხმის ტაქტიკური გახორციელებისა. მწვრთნელები სწორ გზაზე დგანან. ვუსურვებ მათ შემდგომ წარმატებას".

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ვაჟთა ნაკრების მწვრთნელი შ. მარგიშვილი: „თავდასხმაში დაცვის ზონების ჩაბმა ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ნაკრებში უკვე მივმართეთ მას, ჯერ საწვრთნელ მეცადინეობებზე, შემდეგ კი, ვფიქრობთ, ამ ხერხს ქვეყნის პირველობაშიც გამოვიყენებთ".

ბავშვთა გუნდების მწვრთნელები რ. მეგრელიშვილი და ლ. სტეპანიანი: „ჩვენი აზრით, ეს გზა მოსაწონი და მიზანშეწონილია. ამ ახალი ეფექტური თამაშისა და თავდასხმის ჩვევებს ბავშვებსაც შევაჩვევთ".

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი კალათბურთში შ. დიასამიძე: „ახლებური გზა იმდენად კარგია, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ხუთი მოთამაშით განხორციელებული იერიში ასეთ ორიგინალურ, ტაქტიკურ, ტემპერამენტიან კომბინაციებში შეიძლება გამოხატულიყო".

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. წერეთელი: „ვფიქრობ, მწვრთნელებმა საკმაოდ თვალნათლივ დაინახეს ახლებური თავდასხმის განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობები და თუმცა ექსპერიმენტი თითქმის ნედლი სახით წარმოგვიდგინეს (გუნდებმა სულ 6-7 საწვრთნელი მეცადინეობა ჩაატარეს), შედეგები დადებითი აღმოჩნდა. ხუთი მოთამაშით შეტევა მართლაც მისაღები და აუცილებელიცაა თანამედროვე ფრენბურთში, როგორც თავდასხმაში დიდი ეფექტურობის მიღწევის საშუალება".

დასასრულ უნდა დავსძინოთ: დასანანია, რომ ამ შესანიშნავად ორგანიზებულ და ჩატარებულ ექსპერიმენტს ყველა მოწვეული მწვრთნელი არ დაესწრო.

რ. მურადოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი I ჯგუფი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 7 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 22 | 13 | 8 | 1 | 32—13 | 34 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 21 | 14 | 4 | 3 | 38—19 | 33 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 21 | 8 | 9 | 4 | 34—21 | 25 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 8 | 9 | 4 | 20—10 | 25 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 21 | 9 | 7 | 5 | 24—18 | 25 |
| „დინამო“ (მინსკი) | 21 | 9 | 7 | 5 | 23—17 | 25 |
| ცსკა | 21 | 9 | 6 | 6 | 24—18 | 24 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 21 | 7 | 10 | 4 | 22—24 | 24 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 21 | 7 | 9 | 5 | 23—24 | 23 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 22 | 8 | 6 | 8 | 29—25 | 22 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 21 | 6 | 8 | 7 | 20—19 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 21 | 6 | 7 | 8 | 14—15 | 19 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 21 | 5 | 9 | 7 | 20—23 | 19 |
| ასკ (როსტოვი) | 21 | 6 | 6 | 9 | 26—30 | 18 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 22 | 5 | 8 | 9 | 12—26 | 18 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 21 | 5 | 6 | 10 | 23—36 | 16 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 21 | 5 | 5 | 11 | 15—23 | 15 |
| „არარატი“ (ერევანი) | 21 | 5 | 5 | 11 | 14—26 | 15 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 22 | 4 | 5 | 13 | 17—30 | 13 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 21 | 2 | 8 | 11 | 10—23 | 12 |



ს უ რ ა თ ზ ე: მომენტი განვლილი მატჩიდან „იმედის თასზე“ საქართველოს და ტაჯიკეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. შეტევაზეა საქართველოს გუნდი.

ფოტო ი. იუნაევისა.

# დინამოელთა ოთხეულები!

ხარკოვი, 6 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ველოსიპედისტთა საკავშირო პირად-გუნდურ საუწყებო ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკა მხოლოდ სამი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. ორი მათგანი — თ. ფხაკაძე და ვ. ფეტისოვი „დინამოს“ ღირსებას იცავდნენ, ხოლო მესამე — თ. გელაძე — „ბურევესტნიკისას“. ფხაკაძე თბილისში ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით ბრუნდება, ხოლო ფეტისოვმა გუშინ ვერცხლის მედალი დაიმსახურა 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში. მიუხედავად იმისა, რომ გელაძეს ამ ჩემპიონატში ბედი არ სწყალობს (მაგალითად, სპრინტში იგი დაეცა და ბრძოლას გამოეთიშა), თამამად შეიძლება ითქვას, რომ მედლები თვითეულზე მაინც თანაბრად განაწილდა.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, ისე კი, „დინამოს“ მეორე გუნდის ვერცხლის მედლები საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ სენსაციას წარმოადგენს. ნახევარფინალში ახალგაზრდა დინამოელებს (მეორე გუნდი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული) მრისხანე მეტოქე ჰყავდათ არმიელთა სახით, მაგრამ მოხდა ისე, რომ მეორე წრეზევე ერთ-ერთ არმიელს ველოსიპედი დაუზიანდა და გუნდის შემადგენლობაში სამი სპორტსმენი დარჩა. დინამოელებმა, რასაკვირველია, სიამოვნებით მიიღეს ეს მოულოდნელი საჩუქარი და რიცხობრივი უპირატესობა გამარჯვებად აქციეს. „დინამოს“ მეორე კოლექტივმა (ვ. ფეტისოვი, ა. სოლენკო, ვ. რახტორგუევი და ვ. ზუბიცკი) 4 კილომეტრზე აჩვენა 4.41,78, არმიელთა ტრიომ კი 4.42,56 და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

ასე დრამატიულად დამთავრდა მეორე ნახევარფინალი. პირველში კი „დინამოს“ პირველმა კოლექტივმა, რომელშიც გამოდის მსოფლიოს სამი ჩემპიონი (ვ. ბიკოვი, მ. კოლიუშევი და ძ. ლაცისი) და ერთიც ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი (ვ. კუზნეცოვი), დაამარცხა „ბურევესტნიკის“ გუნდი — მსოფლიოს ორი ჩემპიონისა (ს. მოსკვინი, ლ. ვუკოლოვი) და საერთაშორისო კლასის ოსტატებისგან (ა. სტარკოვი, ს. კუშკოვი) შემდგარი ანსამბლი. „დინამომ“ აჩვენა 4.35,24, „ბურევესტნიკმა“ — 4.35,9.

ფინალური ბრძოლა არავითარ სპორტულ ინტერესს არ წარმოადგენდა. „დინამო“ პირველმა ბრძოლა საკმაოდ იოლად მოუგო „დინამო“ მეორეს, ოქროს მედლები მიიღო, ახალგაზრდებს კი არანაკლებ საპატიო ვერცხლი დაუტოვა.

გაცილებით უფრო საინტერესო გამოდგა ბრძოლა III ადგილისთვის ცსკა-სა და „ბურევესტნიკს“ შორის. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდათ ბურევესტნიკელებს — 4.36,75. ცსკა-ს გუნდი, რომელსაც სპეციალისტთა უმრავლესობა I ადგილსაც კი უწინასწარმეტყველებდა, საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა.

გათამაშდა მედლები ქალთა შორის 500 მეტრზე ადგილიდან გიტში. ოქრო მოიპოვა ტულელმა თ. მელნიკოვამ („ბურევესტნიკი“) — 37,60, ვერცხლი — ხარკოველმა არმიელმა ი. კირიჩენკომ — 37,74, ბრინჯაო — ტულელმა ვ. ივანოვამ („დინამო“) — 37,99.

მიუხედავად იმისა, რომ პირველობა ჯერ არ დამთავრებულა (ვაჟებს სამი სახეობა დარჩათ, ქალებს კი ერთი), გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონის ვინაობა გარკვეულია—„დინამოს“ ველოსიპედისტებმა უკვე გაინაღდეს გარდამავალი თასი. ახლა ბრძოლა წარმოებს II ადგილისთვის არმიელებსა და სტუდენტებს შორის.

ნ. ბუბუშვილი.

### გათამაშების ცხრილები

„ბ“ კლასი

მდგომარეობა 7 აგვისტოსათვის

III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა“ (გორი) | 22 | 14 | 6 | 2 | 39—11 | 34 |
| „სპარტაკი“ (ბელგოროდი) | 22 | 13 | 5 | 4 | 35—13 | 31 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 21 | 13 | 3 | 5 | 30—7 | 29 |
| „უროჟაი“ (მაიკოპი) | 22 | 12 | 4 | 6 | 32—14 | 28 |
| „ხიმიკი“ (ბალაკოვო) | 22 | 9 | 10 | 3 | 18—9 | 28 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 22 | 12 | 3 | 7 | 22—13 | 27 |
| „უროჟაი“ (ლაბინსკი) | 22 | 8 | 9 | 5 | 12—18 | 25 |
| „ენერგია“ (ვოლჟსკი) | 22 | 8 | 7 | 7 | 21—15 | 23 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 21 | 7 | 9 | 5 | 21—17 | 23 |
| „ტორპედო“ (არმავირი) | 22 | 8 | 7 | 7 | 20—19 | 23 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 22 | 9 | 4 | 9 | 25—24 | 22 |
| „უროჟაი“ (სლავიანსკი) | 22 | 8 | 6 | 8 | 22—22 | 22 |
| „უროჟაი“ (ალექსანდროვსკაია) | 22 | 8 | 5 | 9 | 18—19 | 21 |
| „დაშკინი“ (ზაქათალა) | 22 | 8 | 5 | 9 | 20—36 | 21 |
| „ტრუდი“ (ენგელსი) | 21 | 6 | 7 | 8 | 17—19 | 19 |
| „უროჟაი“ (სვეტლოგრადი) | 22 | 5 | 8 | 9 | 17—23 | 18 |
| „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) | 22 | 6 | 6 | 10 | 16—29 | 18 |
| „ხიმიკი“ (ნევინომისკი) | 22 | 4 | 7 | 11 | 14—26 | 15 |
| „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) | 22 | 2 | 9 | 11 | 10—25 | 13 |
| „არაზი“ (ნახიჭევანი) | 22 | 4 | 4 | 14 | 16—35 | 12 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 22 | 1 | 5 | 16 | 19—38 | 7 |

IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 22 | 11 | 9 | 2 | 22—14 | 31 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 22 | 10 | 9 | 3 | 29—11 | 29 |
| „სევანი“ (ოქტემბერიანი) | 22 | 11 | 6 | 5 | 35—17 | 28 |
| „არაქსი“ (ეჩმიაძინი) | 22 | 12 | 2 | 8 | 25—18 | 26 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 22 | 10 | 5 | 7 | 33—24 | 25 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 22 | 10 | 5 | 7 | 24—16 | 25 |
| „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) | 22 | 8 | 8 | 6 | 26—16 | 24 |
| „უროჟაი“ (კრიმსკი) | 22 | 7 | 10 | 5 | 25—20 | 24 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 22 | 9 | 5 | 8 | 30—19 | 23 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 22 | 7 | 9 | 5 | 20—20 | 23 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 22 | 8 | 7 | 7 | 23—24 | 23 |
| „უროჟაი“ (დერბენტი) | 22 | 8 | 7 | 7 | 19—21 | 23 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 22 | 8 | 7 | 7 | 25—31 | 23 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 22 | 8 | 4 | 10 | 28—25 | 20 |
| „ირისთონი“ (მოზდოკი) | 22 | 7 | 6 | 9 | 25—25 | 20 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 22 | 5 | 8 | 9 | 12—24 | 18 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 22 | 5 | 7 | 10 | 18—20 | 17 |
| „ტრუდი“ (კასპიისკი) | 21 | 6 | 5 | 10 | 19—28 | 17 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 22 | 7 | 3 | 12 | 19—31 | 17 |
| „უროჟაი“ (გროზნო) | 22 | 4 | 5 | 13 | 20—35 | 13 |
| „კახეთი“ (თელავი) | 21 | 3 | 5 | 13 | 11—34 | 11 |

* * *

მოგვყავს „ბ“ კლასში ადრე ჩატარებული იმ მატჩების შედეგები, რომლებიც ჩვენს გაზეთში არ გამოქვეყნებულა:

**III ზონა**

„სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „უროჟაი“ (ლაბინსკი) 5:0, „ტრუდი“ (ენგელსი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) 4:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „უროჟაი“ (ლაბინსკი) 3:0, „ტორპედო“ (არმავირი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 1:0, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „ტრუდი“ (ენგელსი) 2:0, „უროჟაი“ (ლაბინსკი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვო) 1:0.

**IV ზონა**

„ტრუდი“ (კასპიისკი) — „ირისთონი“ (მოზდოკი) 1:1, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:1, „უროჟაი“ (დერბენტი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1.

# აგვისტოს კალენდარი

### ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის

#### რსფსრ-ს III ზონა

**7.** „მეტალურგი“ (რუსთავი) — „დაშკინი“ (ზაქათალა), „დილა“ (გორი) — „არაზი“ (ნახიჭევანი), „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური).

**11.** „ხიმიკი“ (ბალაკოვო) — „მეტალურგი“, „ტრუდი“ (ენგელსი) — „ალაზანი“, „ენერგია“ (ვოლჟსკი) — „დილა“.

**15.** „ხიმიკი“ (ბალაკოვო) — „დილა“, „ტრუდი“ — „მეტალურგი“, „ენერგია“ — „ალაზანი“.

**19.** „ხიმიკი“ (ბალაკოვო) — „ალაზანი“, „ტრუდი“ — „დილა“, „ენერგია“ — „მეტალურგი“.

**23.** „ალაზანი“ — „დილა“.

**27.** „მეტალურგი“ — „ალაზანი“.

**31.** „დილა“ — „მეტალურგი“.

#### რსფსრ-ს IV ზონა

**7.** „სევანი“ (ოქტემბერიანი)—„სპარტაკი“ (ცხინვალი), „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი), „უროჟაი“ (გროზნო) — „ენგური“ (ზუგდიდი), „ირისთონი“ (მოზდოკი) — „დინამო“ (სოხუმი), „შუქურა“ (ქობულეთი )— „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი), „გურია“ (ლანჩხუთი) — „ნარზანი“ (კისლოვოდსკი), „მერცხალი“ (მახარაძე) — „უროჟაი“ (კრიმსკი), „კახეთი“ (თელავი) — „ტრუდი“ (კასპიისკი).

**11.** „ლორი“ (კიროვაკანი) — „მაღაროელი“, „უროჟაი“ (დერბენტი) — „შუქურა“, „ტრუდი“ — „გურია“, „კახეთი“ — „მერცხალი“, „დინამო“ (სოხუმი) — „სევანი“, „ენგური“ — „არაქსი“ (ეჩმიაძინი), „კოლხეთი“ — „ლერნაგორცი“.

**15.** „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ლორი“, „უროჟაი“ (დერბენტი) — „მერცხალი“, „ტრუდი“ — „შუქურა“, „კახეთი“ — „გურია“, „დინამო“ (სოხუმი) — „ლერნაგორცი“, „ენგური“ — „სევანი“, „კოლხეთი“ — „არაქსი“.

**19.** „მაღაროელი“ — „სპარტაკი“ (ცხინვალი), „უროჟაი“ (დერბენტი) — „გურია“, „ტრუდი“ — „მერცხალი“, „კახეთი“ — „შუქურა“, „დინამო“ (სოხუმი) — „არაქსი“, „ენგური“ — „ლერნაგორცი“, „კოლხეთი“ — „სევანი“.

**23.** „მაღაროელი“ — „მაშუკი“, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ირისთონი“, „შუქურა“ — „კოლხეთი“, „მერცხალი“ — „ენგური“, „გურია“ — „დინამო“ (სოხუმი), „უროჟაი“ (კრიმსკი) — „კახეთი“.

**27.** „მაღაროელი“ — „უროჟაი“ (გროზნო), „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მაშუკი“, „ცემენტი“ — „კახეთი“, „დინამო“ (სოხუმი) — „შუქურა“, „ენგური“ — „გურია“, „კოლხეთი“ — „მერცხალი“.

**31.** „მაღაროელი“ — „ირისთონი“, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „უროჟაი“ (გროზნო), „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) — „კახეთი“, „დინამო“ (სოხუმი) — „მერცხალი“, „ენგური“ — „შუქურა“, „კოლხეთი“—„გურია“.



ფეხბურთი-68

# რა მოუვიდათ კიეველებს?

ჰააგა, 5 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის ჩემპიონმა ფეხბურთში, ახლანდელი გათამაშების ლიდერმა — კიევის „დინამომ“ სენსაციური მარცხი განიცადა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ჰააგის ადოსთან — 1:5.

მასპინძლები წინ იყვნენ ჯერ კიდევ შესვენებამდე — 3:0, ხოლო მერე კიდევ ორჯერ აიღეს კიეველთა კარი — 5:0. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო პარკუიანმა ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა.

ადო ამჟამად III ადგილზე იმყოფება ჰოლანდიის ეროვნულ ჩემპიონატში და ამ ქვეყნის თასის მფლობელია.

# ავტორიტეტის დამტკიცება

### რ. კეკელია — ფინალში

ტალინი, 5 აგვისტო. (საკდესი). 30 წლის არმიელმა უ. მავლიხანოვმა (მოსკოვის ოლქი) კვლავ მოიპოვა ქვეყნის „პირველი ესპადრონის“ სახელი და ისევ დაიმტკიცა მაღალი ტიტული, რომელიც შარშან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მოიხვეჭა.

დღეს მავლიხანოვმა უკვე პირველივე ფინალურ ბრძოლაში გადადგა მტკიცე ნაბიჯი გამარჯვებისკენ, როცა ლამაზად მოუგო ვ. სიდიაკს (ლვოვი). შემდეგ იგი შეხვედრას შეხვედრაზე ამთავრებდა დაუმარცხებლად და მხოლოდ ერთხელ დათმო გამარჯვება. ლენინგრადელ ე. ვინოკუროვთან „დუელში“ მსაჯებმა რამდენიმე სადავო გადაწყვეტილება მიიღეს და აი, მავლიხანოვს მედლისთვის დამატებითი ბრძოლა დასჭირდა.

საქმე ისაა, რომ ქვეყნის ექს-ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ბ. მელნიკოვმა, რომელმაც ფინალი იმავე მავლიხანოვთან წაგებით დაიწყო, შემდეგ ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და ახლა უმაღლეს ჯილდოზე აცხადებდა პრეტენზიას. მას რომ მსოფლიო ჩემპიონ მ. რაკიტასთვის (მოსკოვის ოლქი) მოეგო, ტიტულის ბედს ხელახალი შეხვედრა გადაწყვეტდა. მაგრამ რაკიტა ბრწყინვალედ ფარიკაობდა და მავლიხანოვს ჩემპიონობა მოაპოვებინა. თავად იგი მხოლოდ მეოთხე იყო: II ადგილზეა მელნიკოვი, III — ვინოკუროვი.

ამ ჩემპიონატის შემდეგ ოლიმპიური საგზურები საბოლოოდ განაწილდება. ჯერჯერობით კი მტკიცედ შეიძლება დავასახელოთ ოთხი მომავალი ოლიმპიელი: რაკიტა, მავლიხანოვი, ნაზლიმოვი და ვინოკუროვი. მეხუთეს დაასახელებს სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა ტრადიციული ტურნირი, რომელიც მალე ჩატარდება.

დღეს, წინასწარი შეხვედრების შემდეგ ჩამოყალიბდა ქალთა შეჯიბრების ფინალისტთა ექვსეული. გამოცდილ სპორტსმენებთან — მსოფლიოს ჩემპიონ ა. ზაბელინასთან (მოსკოვი), ტ. სამუსენკოსთან (მინსკი), ვ. პრუდსკოვასთან (სარატოვი) ერთად გამოვლენ ახალგაზრდებიც — ს. ჩირკოვა (ტალინი), ე. ნოვიკოვა (მინსკი) და რ. კეკელია (თბილისი).

[illegible]

◆ ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ინგირის იპოდრომზე მოაწყო მოტოშეჯიბრება ფიგურულ მართვაში. მონაწილეობდა 33 სპორტსმენი. ყველას აჯობა გ. ბუალავამ (სატყეო მეურნეობა). II და III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ზ. შამუგია და დ. ნაყოფია (ორივე — ავტო-მოტოკლუბი).

ბ. ალშიბაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ჭიდილის პრეტენდენტები

საქართველოს „შრომითი რეზერვების“ სპორტულ დელეგაციაში, რომელიც თითქმის სრული შემადგენლობით ჩამოვიდა საასპარეზოდ, ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა „შრომითი რეზერვების“ XI საიუბილეო სპარტაკიადის მონაწილეებისთვის სამი მთავარი პრიზი დააწესა. როგორც საერთო საცხოვრებელში გამოკრული „ელვა“ იუწყება, მათგან ერთ-ერთისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში დამაჯერებლად ლიდერობენ ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები: პრიზს „უმაღლესი სპორტული შედეგებისთვის“ მიიღებს ის გუნდი, რომელიც შეჯიბრებაში ყველაზე მეტ საპრიზო ადგილს მოიპოვებს. ჩვენმა გუნდმა 108 ქულა მოაგროვა, რაც განაპირობა შვიდმა პირველმა, ხუთ-ხუთმა მეორე და მესამე ადგილმა, რამდენიმე საპრიზო შედეგმა სპეციალურ ჩათვლაში.

ბელორუსიის ნაკრებს, რომელიც II ადგილზეა, მხოლოდ 66 ქულა აქვს, რსფსრ-ს — 64, სომხეთს — 49, მოსკოვს — 47.

პირველ ტურში წარმატებით გამოვიდნენ კალათბურთელები. საქართველოს გოგონათა გუნდის მატჩი უკრაინელებთან დამთავრდა ჩვენების გამარჯვებით — 42:27, ჭაბუკებმა კი მოუგეს ტაჯიკეთის წარმომადგენლებს — 59:41.

ფეხბურთელებმა ქვეჯგუფში II ადგილი დაიკავეს და ფინალში გავიდნენ.

ბ. კოვალიოვი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მინსკი.

# ფავორიტები ფავორიტებად რჩებიან

მოსკოვში დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. 4 სახეობის შემდეგ დაწინაურდნენ სწორედ ის სპორტსმენები, რომლებიც ოლიმპიური ნაკრების ყველაზე ნაღდი კანდიდატები არიან.

ასპარეზობის მეორე დღეს ხუთჭიდელები საფარიკაო ბილიკზე გამოვიდნენ. აქ დამაჯერებლად გაიმარჯვა ლვოველმა პ. ლედნიოვმა — 1150 ქულა. მან 37 შეხვედრა მოიგო!

მესამე სახეობა სროლა იყო. აქ I ადგილი დაისაკუთრა მოსკოველმა ვ. ვერენჩუკმა.

მეოთხე სახეობაში — ცურვაში განსაკუთრებით კარგად იასპარეზა ბ. ონიშჩენკომ (უკრაინა). 300 მეტრის გაცურვას მან 3 წუთი და 40,8 წამი მოანდომა, რამაც 1081 ქულა შეადგინა. ამან ონიშჩენკოს შესაძლებლობა მისცა 4 სახეობის ჯამში 4087 ქულა მოეგროვებინა და საერთო II ადგილზე გადასულიყო. ცურვაში მეორე იყო შეჯიბრების ლიდერი ლედნიოვი — 3.42,2. 4 სახეობის შემდეგ 4196 ქულით იგი ლიდერობას ინარჩუნებს. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ს. შაპარნისი (მოსკოვი) 4046 ქულით III ადგილზეა.

გუნდურ ჩათვლაში ოთხი სახეობის შემდეგ დაწინაურდნენ რსფსრ-ს დინამოელები. II ადგილზე არიან მათი ესტონელი თანაკლუბელები, III — სპარტაკელები.

# ახალი ამბები

● **უჟგოროდი, 5 აგვისტო.** აქ ოთხ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. გამარჯვებისთვის იბრძოდა რობინ ჰუდის 117 უძლიერესი „მემკვიდრე“. 4 ვარჯიშის ჯამში ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ლვოვის დინამოელი ვიქტორ სიდორუკი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც უკრაინის სპორტსმენებმა მოიპოვეს — არმიელებმა ი. ფაინშტეინმა და ვ. მარკოვიჩმა. ქალთა შორის ყველაზე ზუსტად ისროდა ლვოვის სპარტაკელი ნონა კოზინა. მისმა თანაქალაქელმა ო. რუტკოვსკაიამ II ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედალი ერგო მოსკოველ ვ. კაბჩენკოს. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს უკრაინის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა ესტონეთის კოლექტივი, ხოლო III — მოსკოველები.

● **ტალინი, 5 აგვისტო.** რადიოსპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატში 9 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა მოსკოველმა ი. სტაროსტინმა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს უკრაინელებმა.



**მოსკოვი.** ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში ჩატარდა საბჭოთა სამოტორო სპორტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია. აქვე მოეწყო ახალი სარბოლო ავტომობილებისა და მოტოციკლების გამოფენა.

• • •

**სურათებზე:** ახალი სარბოლო ავტომობილი „მოსკვიჩი გ-5“. იგი საათში 200 კმ სისწრაფეს ავითარებს; გამოფენაზეა ახალი სარბოლო მოტოციკლი „ს-565“. საგზატკეცილო წრიული რბოლებისთვის განკუთვნილი ეს მანქანა საათში 250 კმ სისწრაფეს აჩვენებს.

ფოტო გ. ხუხლაევისა (საკდესი).



# საათები ჩართო მასპინძელთა თავკაცმა

**დუშეთი,** 6 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ, კულტურის სახლში, დუშეთის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ოზგაიძემ საზეიმოდ გახსნა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი. მისალმებების შემდეგ მონაწილეთა კენჭისყრა მოეწყო.

აი, როგორ განლაგდნენ მოჭადრაკეები სტურნირო ცხრილში:

1. ნ. გიორგაძე (ბათუმი), 2. მ. ჩომახიძე, 3. ც. კობაიძე, 4. ს. ივანოვა (სამივე — თბილისი), 5. ც. სიორდია (ცხაკაია), 6. ქ. გოგიავა, 7. კ. პილცერი (ორივე — თბილისი), 8. ე. ლომიძე (ქუთაისი), 9. ლ. კოროშინაძე, 10. ც. კახაბრიშვილი, 11. მ. სანაძე, 12. ნ. ალექსანდრია, 13. თ. ხუგაშვილი (ყველა — თბილისი), 14. ზ. შენგელია (სამტრედია), 15. მ. ჩიქობავა (თბილისი), 16. ვ. დანელია (აბაშა).

დღეს დილით შედგა I ტური. დუშეთის პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შადურმა, როგორც პირველობის მასპინძელმა, საათები ჩართო და ბრძოლაც დაიწყო.

ალექსანდრიამ ადვილად მოუგო სიორდიას. წაგების მიჯნაზე იყო კობაიძე შენგელიასთან შეხვედრაში, მაგრამ სამტრედიელმა მოჭადრაკემ ვერ მოასწრო საკონტროლო სვლების გაკეთება, საათზე ალამი ჩამოუვარდა და მოგებულ პოზიციაში წაგება მიესაჯა.

ჩომახიძემ მოუგო ჩიქობავას, კოროშინაძემ — ლომიძეს, ხუგაშვილმა — ივანოვას. სხვა პარტიები გადაიდო.



## სსრ კავშირის თასზე

გუშინ გაიმართა მეოთხედფინალური მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და სვერდლოვსკის „ურალმაში“. მატჩი დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით — 3:1.

სხვა მეოთხედფინალურმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები გამოიღო: „შახტიორი“ (დონეცკი) — ასკ (კიევი) 1:0, „ზარია“ (ლუგანსკი) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი) 1:2, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ნეფტჩი“ (ბაქო) 2:3.

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

# 2. საიდუმლოება ამოხსნილია

XIX საუკუნის 90-ან წლებში მსოფლიოს საჭადრაკო პრესა შემოიარა ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის ამ დაბოლოებამ:

თ. ხოშტარია



ა. დადიანი

მართლაც, წარუხოცელ შთაბეჭდილებას სტოვებს ლაზიერის მოხდენილი შეწირვა და შამათი ორი მხედრით (1. მg6+მ:g8 2. ლg7+ ე:g7 3. მh6×).

შემდგომ ეს კომბინაცია გამოჩენილმა რუსმა ოსტატმა ე. შიფერსმა ა. დადიანის პარტიების დაბოლოებათა კრებულშიც შეიტანა. ჩვენს დროში კი მ. ტალის მწვრთნელმა, ოსტატმა ა. კობლენცმა თავის სახელმძღვანელოში დაბეჭდა იგი ავტორის დაუსახელებლად (მეორე გამოცემაში ჩვენი მინიშნებით კობლენცმა მოიხსენია კომბინაციის შემქმნელი).

### ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით

თ. ხოშტარიას ვინაობა, კომბინაციის გათამაშების წელი და ადგილი დიდხანს უცნობი რჩებოდა.

ძველ ქართველ მოჭადრაკეთა შორის ხოშტარიას გვარს ვერსად შევხვდით. ვფიქრობდით, რომ იგი დადიანების ოჯახის ახლობელი უნდა ყოფილიყო.

ყველაფერს ნათელი მოეფინა, როცა ზუგდიდის მუზეუმში ა. დადიანის ხელნაწერებში მივაკვლიეთ ამ სახიჭადულო მოჭადრაკის ნათამაშევი პარტიების მისივე ჩანაწერებს. იქ აღნიშნულია, რომ დაბოლოება ხოშტარიასთან 1887 წელს სოფელ აბასთუმანში (დადიანების სოფელი იყო ზუგდიდთან ახლოს) ნათამაშევი.

აქედან ირკვევა, რომ თ. ხოშტარია არის ის თედორე მღვდელი, რომელიც 60-ან წლებში სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისამ თან გაიყოლა პეტერბურგში, შემდეგ საზღვარგარეთ, რათა ბავშვები ქართულ ენაში ემეცადინებინა. არაფერია გასაკვირი, რომ დიდად განათლებული ღვთის მსახური ჩინებული მოჭადრაკე ყოფილა.

თ. გიორგაძე.

ინგლისური საჭადრაკო ჟურნალი „ჩესს მონსლი“ (1892 წ.) წერს: „ა. დადიანმა ჭადრაკის თამაში ჩვილ ასაკში ისწავლა მშობლებისგან“. როცა ეს სურათი გადაუღიათ 9-10 წლის ანდრიასთვის, იგი უკვე კარგა ხნის მოჭადრაკე ყოფილა.



# უკანასკნელ საათს...

◆ **ჩერკესკი, 6 აგვისტო.** სსრ კავშირის ჩემპიონმა — ადგილობრივი „დომბაის“ მოტობურთელთა გუნდმა აქ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ლევერკუზენის (გფრ) სპორტსმენები. თამაშმა, რომელიც მაღალ ტემპში მიმდინარეობდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს იყო „დომბაის“ მესამე მატჩი ლევერკუზენის გუნდთან. პირველი ორი ჩერკესკელებმა გფრ-ში ჩაატარეს 1966 და 1967 წლებში. მაშინაც, ორივე თამაშში „დომბაიმ“ იმარჯვა საერთო ანგარიშით 8:2.

◆ **მოსკოვი, 6 აგვისტო.** ლვოველმა არმიელმა პ. ლედნიოვმა პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი თანამედროვე ხუთჭიდში. მან ქულათა შესანიშნავი ჯამი მოაგროვა — 5202. II ადგილზეა ბ. ონიშჩენკო (კიევი) — 5120, III — ს. შაპარნისი (მოსკოვი) — 5006. ასპარეზობის დასკვნით დღეს ლედნიოვმა მეექვსე შედეგი (14.13,0) აჩვენა მძლეოსნურ კროსში, მაგრამ ქულათა თვალსაჩინო მარაგმა (განსხვავება 109 ქულას შეადგენდა) მას საშუალება მისცა შეენარჩუნებინა პირველობა. მძლეოსნურ კროსში მოულოდნელად გადაწყდა გუნდური პირველობის ბედი. საუკეთესო დროის ავტორად მოგვევლინა არმიელი ვ. ლანსკოი (13.37,8), რომელმაც თანაგუნდელებთან გ. ფროლენკოსა (13.57,2) და ა. შევჩენკოსთან (14.28,8) ერთად I ადგილზე გაიყვანა ჯარების სამხრეთის ჯგუფი — 13.670 ქულა. და ეს მაშინ, როცა 4 სახეობის შემდეგ ეს კოლექტივი მხოლოდ VI ადგილზე იყო. II ადგილი დაიკავა „სპარტაკმა“ (13.552), III — ესტონეთის „დინამომ“ (13.527).

# მაღალი შედეგებით

**ლენინაკანი,** 6 აგვისტო. (ტელეფონით). აქ რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყება მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატი, რომლის მონაწილეებმაც სომხეთის მძლეოსნობის ფედერაციის მიერ მოწყობილ შეჯიბრებაში იასპარეზეს.

ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი: სიგრძეზე ხტომა — ი. ტერ-ოვანესიანი — 804 სმ, ს. ხლოპოტნოვი — 801 სმ, ხ. რინგა — 645 სმ (სეზონის საუკეთესო მაჩვენებელი ჩვენში), 400 მ — ლ. ერიკი — 54,0 (ესტონეთის ქალთა ახალი რეკორდი), 100 მ — გ. ბუხარინა — 11,5, ჭოკით ხტომა — გ. ბლიზნეცოვი — 515 სმ, ა. მალიუტინი — 510 სმ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07672